№ 5-67

ლიტ-პოლი-მხატვრული ჟურნალი

№ 24

წელიწადი მეორე

9178

ფასი 10 კაპ.

33(05)
5-67

კლდე

№ 24

9 თიბათვე 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა: [illegible] 1 წლ.,—5 მან. 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ. 50 კ., 1 თვ.—50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

იაკობ გოგებაშვილი
(1840—1912)

დღეს 9 თიბათვეს, დიდუბის ეკლესიაში ქართველი საზოგადოება იხდის წლის წირვას და პანაშვიდს ცნობილი მოღვაწის და პედაგოგის „დედა-ენის" შემქმნელის—**იაკობ გოგებაშვილისას.**

ჟურნალ „განათლებას" გამოუცია იაკობ გოგებაშვილის სახსოვარი წიგნი, სადაც მოთავსებულია მისი სურათები და ბიოგრაფიული ცნობები. წიგნი გამოცემულია ლამაზად და კარგ ქაღალდზედ. შემოსავალი მისი გაყიდვისაგან მოხმარდება სახალხო განათლების ფონდის გაძლიერებას და ამიტომ, იმედია, ქართველი საზოგადოება არ დაიშურებს ამ წიგნისათვის ისეთ მცირე წვლილს, როგორც ამ წიგნის ფასია — 15 შაური.

სარჩევი ქველმოქმედება და ქართველი ქალები.— *** — **სა.** თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია და ქართვ. საზოგ. — **ლ. დ—ესი.** შორიდან. — **დუტუ მეგრელისა.** ცემი. — **ი. მჭედლიშვილისა.** ნატო. — **ან. კაპანაძისა.** გლეხთა კავშირები. — **დ. ვაჩნაძისა.** ქართული სტატისტიკა. — **ნაცარასი.** ეკონომიური ცხოვრება. საადგილ-მამულო კომისია. — **რ. გ—ესი.** რაში ეძლევა 100 თუმანი სიღნაღის საქალებო სასწავ. — **რიგიანისა.** ნარევი.

ქველმოქმედება და ქართველი ქალები

(დუტუ მეგრელის წერილის გამო)

წარსულ ნომერში გვქონდა დაბეჭდილი წერილი დუტუ მეგრელისა „ქართველ ქალთა საყურადღებოდ“ და დღეს მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს, პრინციპიალური აზრი გამოვსთქვათ მის ზოგიერთ დებულებათა შესახებ, როგორც ჩვენი სახელმძღვანელო შეხედულება.

ქველმოქმედებას, საზოგადოთ მარტო მაშინა აქვს გასამართლებელი საბუთი, როცა ცხოვრება მოწყობილია, მისი მაჯა ღონივრადა სცემს და პოტენციალური ძალა, დამარხული როგორც ცალკე პიროვნებათა, ისე მთელი ერის გულში, საზოგადოთ გადადის მმოძრავ ძალაში, რომელიც ჰქმნის საცხოვრებელ ღირებულებათ. როდესაც ყოველ ცოცხალს და ენერგიით სავსე ადამიანს შეძლება აქვს თავისი ძალა ფიზიკური, თუ გონებრივი მოჰკიდოს **საქმეს**, როდესაც მისი მკლავის და შეგნების ძალა უქმად არ იფანტება მაშინ სიცოცხლე სდუღს და ქველმოქმედება **ნორმალურ** ადგილს იჭერს. მაშინ იქმნება, იჭედება თვით ერის ფსიხოლოგიაც დ ქველმოქმედება, აგრეთვე როგორც მათხოვრობა, დამამცირებელ მოვლენად ითვლება. დაწვრილებით ძნელია გამორკვევა იმ მიზეზებისა, რომელთაც შეჰქმნეს ეს მხარე ქართული ხასიათისა, მაგრამ ცხადია, ერი უქმად არ იდო ბარში, ან იწვა თეძოზედ მთაში, რომ შეითვისა კეთილშობილური სიამაყე, მკაცრად მდევნელი დამამცირებელ მათხოვრობისა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართველ კაცს, ან ნამეტნავად ქალს, იშვიათად თუ შეხვდებით მთხოვნელს კარის კარსა ბევრჯელ გვინახავს მართლაც სიკვდილის პირს მიმდგარი ადამიანი, მაგრამ გლახაობისათვის არ მიუმართნია. ჩვენებურ გლეხს ეთაკილება თხოვნა; იგი დაბეჩავებულია, მაგრამ მაინც თავის თავის იმედი აქვს—და, თუ უკანასკნელ დროს მაინც გაჩნდნენ საზოგადოებაში მათხოვრები—ეს უფრო გადატაკებულ და დაკნინებულ წვრილ აზნაურობაში, რადგან ჟამთა ვითარებამ მოუსპოთ სახსარი ცხოვრებისა და უნარი მოქმედებისა კი დახშული აღმოუჩნდათ: ისინი მებრძოლნი იყვნენ საუკუნოებით, მთამომავლობა-მთამომავლობაზედ იარაღში ლევდა სულსა და დღეს ისინი გარიყულნი არიან ცხოვრებიდან.

აი რა ელემენტები ჰყავს ხოლმე მხედველობაში დაწინაურებულ ერებს და სახელმწიფოთ, როცა ფართოდ აწყობენ ქველმოქმედურ ორგანიზაციებს. იქ ცხოვრება **ეხლაც** სდუღს, და იმათაც, ვისაც ზემოდან მოიგდებს ქაფივით, იმათაც ვინც დაილეკება ძირზედ, ერთი სიტყვით ყველას, ვინც ცხოვრების ჩარხის ტრიალს ვეღარას ჰმატებს, მაგრამ მაინც, როგორც ადამიანი, **შებრალებას** თხოულობს —გაეწევა ხოლმე მაშველი ხელი.

ჩვენში კი რას ვხედავთ? სრულიად საწინაალმდეგოს: ისტორიული მიმდინარეობა ჩვენი საკუთარი კულტუროსნობისა შეფერხდა; ერი ჯერ ვერ შესჩვევია ახალს პირობებს და ვერ აუმართავს ახალი ალამი თავის ხომალდზედ; მისი ენერგია სომარი, სარწმუნოებრივი, ეროვნული შემოქმედებისა, ჯერ ვერ გადახალისებულა ახალს ფორმებში, კულტურულ მისწრაფებაში ახალს ცხოვრებისადმი და, რასაკვირველია, დიდი და დიდი ნაწილი მისი, ჯანღონით სავსე, პოტენციალურად ბევრის შემძლები —განწირულია უქმად დებაზედ.

რა არის საჭირო ამ დროს, რა მოეთხოვება იმ მოწინავე ნაწილს, რომელიც გრძნობს, რომელმაც შეიგნო საჭიროება ახალის ყალიბისა ეროვნულ ცხოვრებისათვის? გამოძებნა დროული მალამოებისა, რომელნიც აქა-იქ გააყუჩებენ ერის შვილთა ტკივილებს, თუ პალიატივების მაგიერ ძებნა იმ ძირითად ძალთა, რომელთაც უნდა გარდაჰქმნან ერთი სახე ეროვნულ ენერგიისა მეორე სახეში, რომელიც უფრო თანამედროვე და სიცოცხლის გამომღებია?

ჩვენის ღრმა რწმენით, აქამდისაც დიდ შეცდომას აკეთებდა ჩვენი მოწინავე ხალხი, რომ მთავარს ყურადღებას აქცევდა ქველმოქმედურ კულტურულ საქმეებს და ნაკლებად ჰქმნიდა თვით ხალხში ისეთს პირობათ, რომელნიც თავისთავად მიიყვანდნენ კულტურულ განვითარებამდე. არა მარტო კერძო პირების საქმიანობა, თვით დაწესებუ-

ლებათა და ისეთ ძლიერ ორგანიზაციის მოქმედებაც, როგორიც არის თავ.-აზნაურობა—მიმართული იყო განსაკუთრებით ქველმოქმედებაზედ. თუმცა ბევრნი ფიქრობდნენ ცხოვრების პირობათა შეცვლაზედ, მაგრამ რეალურად ამის მქადაგებელნი და საქმის გამძღოლნი, ყოველთვის, თუ ძალით არ იდევნებოდნენ, „წვრილ საქმეების მოტრფიალეთა“ რიცხვში მოჰყვებოდნენ ხოლმე. ასეთი კიჟინი ხალისს უკარგავდა, რასაკვირველია, ახლად ფეხ-ადგმულ, ჯერეთ გაუმტკიცებელ აზრებს და სპობდა მათ.

ჩვენ საკუთარ თავზედაც კი გამოვცადეთ ასეთი კიჟინი „სიტყვიერ დემოკრატიისა“, რომელიც მუდამ „დიდ პოლიტიკას“ ეპოტინებოდა და ხელიდან პატარაც უსხლტებოდა. იმის მაგიერ, რომ გაგვემხნევებინეთ ჩვენს პოზიციაზედ,—„ჰკა მაგასაო“ დაგვძახეს და „მეწვრილმანეებად“ მოგვნათლეს. აი ასეთ უკუღმართ დროს გვიხდება ცხოვრება და ისევ ძველი გზით სიარულის ქადაგება, ისევ „საქველმოქმედო ასპარეზის“ ჩვენება ქალებისათვისაც, როგორც **ორგანიული** მოთხოვნილებისა — ჩვენ მავნედ მიგვაჩნია.

ყოველი ჩვენი ღონე ეხლა სხვა მხარეს უნდა შევაბრუნოთ,—ეკონომიურ გაღონიერებაზედ, და თუ ქალთა წრეები მართლაც რაიმე ძალას წარმოადგენენ უმთავრესად აქეთ უნდა გაიწიონ. განა ცოტაა ჩვენში საქველმოქმედო საზოგადოებანი რომელნიც ინახავენ სკოლებს, სამკერვალოებს, სახელოსნოებს და სხ. ეხლა სასადილოებსაც ხსნიან, თავშესაფრებს და, მგონი, მალე არტახებიდანვე დაუწყობენ ლოლიაობას ყველა უძლურს და დავრდომილს. რომ შესაძლებელი იყოს გამონგარიშება ყველა ამაზედ დახარჯულ თანხებისა, რომ შესაძლებელი იყვეს აღდგენა მათი, დღეს იქნება ისეთი საწარმოვო და ღირებულებათა შემქმნელი საქმენი დაწყობილიყო, რომ ღარიბ-ღატაკთ სანთლით ლა თუ მოსძებნიდით. გულშემატკივრობა ფრიად მოსაწონი თვისებაა ადამიანისა, მაგრამ თუ ამ გულშემატკივრობით ვნების მეტი არა მოგვაქვს რა საერთო ეროვნულ ზრდისათვის — იგი ბალღამივით უნდა ამოიჭრას კანიდგან და არა სალოლიავებელ საგნად იქცეს. ჩვენს პირობებში მყოფთათვის კი ქველმოქმედების **ორგანიზაცია** ორნაირად არის მავნე: ჯერ ერთი ამაზედ მოცდენილი ხალხი, სცდება ნამდვილს ეროვნულს საქმეს, შემოქმედებას და მეორეც—კი არ სპობს, ავრცელებს სიღატაკე-სიღარიბეს. იგი რყვნის ხალხს, რომელსაც შეუძლიან მოქმედება და მარტო იმიტომ არ მოქმედობს, რომ არ იცის რაზედ მოიხმაროს საკუთარი ძალა, რაში დახარჯოს ენერგია და ამით შეიძინოს სახსარი, ბევრჯელ ოჯახიც აცხოვროს.

საბოლოოდ რა ემატება ერის ჯამსა? მარტო პირნი, რომელნიც ეჩვევიან მუქთად მიღებას იმისა, რაც არ დაუმსახურებიათ და მკლავნი გადაჩვეულნი საქმეს. ჩვენი ცდა იქითკენ უნდა მივმართოთ, რომ სიღარიბე მოვსპოთ და ჩვენი ხასიათის მქონე ხალხისათვის ეს ადვილიც არის, თუ რიგიანად მოვაწყეთ მუშაობა: უკანასკნელი დავრდომილიც არჩევს საქმეზედ დადგეს, ვიდრე ხელი გაიშვიროს და მოწყალება ითხოვოს. ქველმოქმედებით კი ჩვენ იმათაც ვაჩვევთ სიღარიბეს და გლახაობას, ვინც პირველებში თაკილობს ამას. პატივცემული დუტუ მეგრელი, ეთანხმება ბ-ნ ბრევერნის აზრს, რომ ქველმოქმედმა უნდა მოძებნოს მორცხვი და მიმალული ღარიბი და დაეხმაროს, ე. ი. თანდათან უნდა შეაჩვიოს იგი, რომ მუქდად მიღება სირცხვილი არ არის. ამით სიღარიბე არასოდეს არ ისპობა და პირიქით, მომავლისათვისაც ნიადაგი უმზადდება.

ამიტომ ჩვენი აზრი ქალთა ორგანიზაციების შესახებაც სულ სხვა მიმართულებას იღებს და ექვემდებარება უდიდეს მიზანს — ეროვნულს თვითშეგნებას და მატერიალურს აღორძინებას. ჩვენ არ გამოუდგებით იმის გარჩევას თუ რა სჯობია, შეერთება კავკასიელ ქალებთან, თუ ცალკე საზოგადოების დაარსება, რადგან არსებითად ამას მნიშვნელობა არა აქვს—ეს კერძო საკითხია და მარტო თბილისელ ქალებისათვის არსებობს; მაშინ როდესაც ქალთა წრეები ეხლა ყველგან ჩნდებიან: ქუთაისში, ბათომში, გორში, ბაქოში და სხვ.

ჩვენის აზრით, ყველაზედ რაციონალურად ამ საკითხს ჯერ-ჯერობით სწყვეტს თბილისის ქალთა ის ჯგუფი, რომელიც გვერდს უხვევს, ამ ხანად, უქმ ლაპარაკს ქალთა თანასწორობაზედ კაცებთან და პოლიტიკურ უფლებათა მოპოებას და აპირობს რამდენიმე პრაქტიკულ საქმის დაწყებას, როგორც მაგ. მომხმარებელი კოოპერატივები. ეს აზრი ყოვლად მისაბაძი და კეთილია სხვა წრეებისათვისაც და მართლაც ქალებს საუკეთესოდ შეუძლიანთ მოწყობა მომხმარებელ და საწარმოვო კოოპერატივებისაც სოფლად და ქალაქებში.

ამ მხრივ დიდ დახმარებას გაუწევენ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასაც, რომელიც ამ სა-

კითხს დიდ ყურადღებას აქცევს და თავის მხრივ შეუძლიან გაუწიოს სათავეში ხელმძღვანელობა.

საქმე--საქმეა, თორემ რომელი ჯგუფი ვის მიეკედლება, ან თუ საკუთარ წრეს შეადგენს - ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კავკასიელ ქალთა საზოგადოებაშიაც შეიძლება მუშაობა და ცალკეც. სამოქმედოთ სრულიად საჭირო არ არის, რომ ათასობით გროვდებოდნენ ქალები უეჭველად ერთად და მასლაათში ატარებდნენ დროსა.

რაც შეეხება ბეჭდვით ორგანოს—ამაში სრულიად ვეთანხმებით ბ. დ. მეგრელის აზრს, რომ ქალთა ცალკე გამოცემა მოკლებულია მნიშვნელობას, რადგან ჯერ სრულიად გამორკვეული არა აქვთ არც პროგრამა, არც მიზანი, არც განსაზღვრული რაიმე მიმართულება.

ესეც არ იყვეს, კიდევ ერთი ბეჭდვითი ორგანო, კიდევ საკმაო ხალხს და ხარჯს მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი ენერგიით მოხმარდეს თვით ქალთა დაწყებულ საქმეებს... დეე, ეს ერთი საქმე მაინც დაიწყოს ქართველობამ საქმიდან და არა ბეჭდვითი სიტყვიდან... რაშიაც ისე ბეჯითები გამოდგნენ მამაკაცები. სხვა დარგების შესახებ, საცა ქალებს შეეძლოთ დიდი ნაყოფის მოტანა—შემდეგ.

* * *

თბილისის სათ.-აზნ. გიმნაზია და ქართველი საზოგადოება

(დასასრული) *)

საქართველოს მცხოვრებნი, უმეტეს ნაწილად სოფლელნი არიან; მათი უმთავრესი მუშაობა—სოფლის მეურნეობა არის და ბუნებრივი იქნებოდა—ჩვენი ცხოვრების ხელმძღვანელთ საქალაქო პროფესიებთან ერთად, დიდი ყურადღება მიექციათ საოსფლო მრეწველობისა და მეურნეობისათვის. მაგრამ საუბედუროდ ამისათვის სრულიად მომზადებულნი არ იყვნენ, რადგან მიღებული და მათ მიერ საზოგადოებაში გატანილი კლასიკური სწავლა უნივერსიტეტის დიპლომიანად, არ აძლევდათ პრაქტიკულ ცოდნას, სოფლისათვის ვამოსადეგს. მეურნეობა, ფართო მნიშვნელობით ამ სიტყვისა, მოდაში არ იყო იმ ხანად.

*) იხ. „ᲙᲚᲓᲔ“ № 23

მაგრამ ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ ჩვენი სოფლისა, და უმოქმედობამ ჩვენი ინტელიგენციისამ, რომელმაც არ იცის რაში და როგორ გამოიყენოს თავისი ძალა, ჩააფიქრა [illegible] ნაწილი საზოგადოებისა, დაანახვა რომ ჩვენი ინტელიგენცია მეტად ცალმხრივია თავის განვითარებაში, და ყოველ პრაქტიკულ ცოდნას და უნარს მოკლებული, რასაც შედეგად მოსდევდა ასპარეზის უქონლობა სამუშაოდ და უკიდურესი სიღარიბე.

ყველაფერი ესე, რასაკვირველია, დემორალიზაციას ახდენდა ინტელიგენციის წრეში, რადგან არ შეიძლება ადამიანს გაუღვიძო **კულტურული მოთხოვნილებანი** და დასაკმაყოფილებელი სახსარი კი არა მისცე რა; ეს გადაგვარების გზაზედ აყენებს ადამიანს, აავადებს, ნევრასტენიას ჰბადებს და სხვ.

მხოლოდ საზოგადოების მხურვალე საქმიანობა, ხალხის გამრჯელობასთან მჭიდროდ შეკავშირებული, ჰქმნის ისეთს გარემოებათ, საცა იფურჩქნება ეროვნული ძალა. აი რატომ გაისმა ხმები საზოგადოებაში, რომ ჩვენთვის, ქართველთათვის, საჭიროა შეიქმნას ეხლა ცხოვრებასთან უფრო ახლო მდგომი სკოლები, უფრო **პრაქტიკული და გამოსადეგი ცოდნის მიმწვდენი ჩვენი ხალხისათვის.**

როდესაც ჩვენი წინანდელი ხელმძღვანელნი აარსებდნენ საზოგადო ფულით სათავად-აზნაურო სკოლას—მათ თავისი საარსებო მიზანი ჰქონდათ და კიდევაც გონივრად იქც ოდნენ, რადგან უმთავრესი მიზანი იყო განათლებულ ადამიანთა გამრავლება და მათ პრაქტიკულ მოქმედებაზედ ხალხში—ორივენ ფიქფობდა.

ამ სკოლამ, რომელიც მეტად იაფად აწვდიდა სწავლას ყველას, მართლაც დიდი სარგებლობა მოუტანა **თავის დროზე**, ქართველ საზოგადოებას. თავ.-აზნაურობა არ ზოგავდა ფულსა თავის სკოლაზედ, მაზედ ხარჯავდა უდიდეს ნაწილს თავის ბიუჯეტისას.

სათავად-აზნაურო სკოლა გადაიქცა შემდეგ გიმნაზიად; აღზარდა რამდენიმე თაობა იმ იმედით, რომ სამშობლო მხარეს შეჰმატებდა მუშაკთ, მაგრამ უმრავლესობა აქედანაც, როგორც სახელმწიფო გიმნაზიებიდან, მიემგზავრებოდა და მიდის ეხლაც უნივერსიტეტში იმისთანა საგნების შესასწავლად, რასაც კარგი გასავალი აქვს ქალაქებში: ადვოკატურას, ექიმობას და სხ., რაც ხელსაყრელია **პირადი** კარიერისათვის. ისინი იძულებულნი ხდებოდნენ ხელი აეღოთ ისეთ სწავლაზედ, რომელიც მათ

პირად სურვილების დაკმაყოფილებასთან ერთად, აამაღლებდა და განავითარებდა ჩვენს ეროვნულს ეკონომიურ ძალებს, ჩვენი ხალხის მეურნეობას. იძულებულნი ხდებოდნენ, რადგან ფასი მხოლოდ კლასიკურ სწავლას და საქალაქო პროფესიებს ედებოდა ყოველთვის.

რასაკვირველია, არ შეიძლება უარყოფა ყველა ამ პროფესიების სარგებლობისა, მაგრამ ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს **ხალხის ეროვნული სიმდიდრე**, რომელიც შესაძლებელია გაჩნდეს მხოლოდ თვით ხალხისავე ჩათრევით ცოცხალ მოქმედებაში, მისი შემოქმედების ამოძრავებაში; ამასთან უნდა ისწავლებოდეს და ვითარდებოდეს ეროვნული წარმოება, რომლის უმთავრესი დარგია სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა.

ყველა იმათგან, ვინც ათავებდა კლასიკურ სწავლას, მხოლოდ $^{1}/_{4}$% მიდიოდა სასოფლო-სამეურნეო, ან ტეხნიკურ ნაწილებზედ და მარტო სულ უკანასკნელ დროს ეს რიცხვი ავიდა 3—4%-მდე. სად მიდიოდა მაშ დანარჩენი $99^{3}/_{4}$% ჩვენი უნივერსანტებისა? 60%-ზე მეტი — სახელმწიფო სამსახურში (სამოქალაქო ან სამხედრო) 30% — თავისუფალ პროფესიებს ირჩევდა და დანარჩენი 9% მეტი ხალხი არაფერს საქმეს არ აკეთებდა და მეტ ბარგად ეკიდებოდა ჩვენს საზოგადოებას. და როდესაც სახელმწიფო სამსახურში შესვლაც გაუძნელა მთავრობამ ადგილობრივ მცხოვრებთ, ქართველი ახალგაზრდობა ძალაუნებურად სახლდებოდა რუსეთის შიდა გუბერნიებშიაც, რათა სახსარიც ეშოვნა და ცოდნაც რამიმე გამოეყენებინა.

გულის ტკივილით ემშვიდობებოდა ახალგაზრდობა სამშობლო კიდეებს, მაგრამ რა ექმნა, როდესაც მას ისეთს აღზრდას და სწავლას აძლევდნენ თავზედ, რომელსაც სამშობლო მხარეში ვერ იყენებდა და თავ-ს გაღვიძებულ მადას და ენერგიას მხოლოდ გარედ თუ დაიკმაყოფილებდა. ან ის, ვინც რჩებოდა აქვე· განა შეუძლიანთ სთქვან, რომ მთლად შეასრულეს ვალი სამშობლოს წინაშე? მართლა სცადეს გაეცნოთ ეკონომიური გასაჭირი ჩვენი ხალხისა და შემუშავებული პროგრამით შესულიყვნენ მისი კეთილდღეობის ასამაღლებლად? არა ეს ცდა გამოიხატებოდა მხოლოდ პლატონიურ სურვილებში და რეალურად არაფერი კეთდებოდა. და განა არა სურდათ მათ რეალური საქმე? განა გული არ შესტკიოდათ სოფლის უნუგეშო მდგომარეობაზედ? ისინი იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ ჩვენი ხალხის გასაჭირზედ კაბინეთებში, გულის ტკივილით შესცქეროდნენ ბედის უკუღმართობას, გულწრფელად სურდათ შველა სოფლისათვის, მაგრამ ვის რა შეეძლო გაეკეთებინა, როცა სათანადო ცოდნა არავის ჰქონდა, არავინ იყო სპეციალისტი, არავინ მეურნე და სხ.

რომ ჩვენს წინანდელ ხელმძღვანელთ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა მეურნეობის დიდ მნიშვნელობაზედ — ეს თუნდა იქიდგანაცა სჩანს, რომ 35% თავ.-აზნაურობის ყველა მოგებისა გადადებული იყო სასოფლო-მეურნების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ, საუბედუროდ, მცოდნე სპეციალისტთა უქონლობა, უქონლობა რაიმე სახელმძღვანელო განზრახვისა და მიზანშეწონილ მოქმედებისა, ჩვენი ეროვნული თვითშეგნების იდეოლოგებისაგან, **პოლიტიკურ საკითხთა უფრო მაღლა დაყენებამ ეკონომიურზედ** და სხ. ის თანხა, რომელიც ნახევარ მილიონამდე ავიდა, დაახარჯვინა სრულიად სხვა მიზნებზედ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სასოფლო მეურნეობასთან.

იმ თავითვე რომ მოწყობილიყო მწყობრი და ჩვენ პირობებთან შეგუებული რაიმე სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია, იქნება ისეთ მწვავე კრიზისს აღარ განიცდიდა ჩვენი მხარე, როგორსაც დღეს ვხედავთ.

მოკლედ რომ განვიმეოროთ ყველა ზემოაღნიშნული ზიანი, რომელიც მოუტანა ჩვენს ეროვნულ კეთილდღეობას კლასიკურმა სწავლამ საზოგადოთ და კერძოთ სათავად-აზნაურო გიმნაზიამ, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ სათ.-აზნაურო გიმნაზია, რომელიც წინად ყველას უფასო სწავლას აწვდიდა და შემდეგ მცირე ფასიანს, **ქალაქში მიერეკება სოფლიდან საუკეთესო ინტელიგენტურ ძალებს** და სოფელს უხელმძღვანელოდ და უმუშაკებოდა სტოვებს; ეს გარემოება კი ჰქმნის ჩამორჩენილობას ჩვენი სოფლისას და დაბალ ხარისხს სასოფლო სამეურნეო მრეწველობისას.

ჩვენი თავად-აზნაურები ყველა ღონეს ხმარობენ ეხლა, რომ რაიმე სწავლა მიაღებინონ შვილებს და რადგან ყველაზედ იაფი და მისაწდომი — კლასიკური სწავლაა სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, ყველას იქ მიჰყავს თავისი შვილი, თუნდაც მოწადინეული იყვეს სხვა რომელიმე დარგსა.

თუ როგორი გაჭირებულია ცხოვრება სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოსწავლეთა უმეტეს ნაწილისა, ძნელი წარმოსადგენია — და ყველა ეს მხოლოდ იმ შეცდომისაგან, რომ სხვა მისაწდომი სასწავლებელი არა გვაქვს. ნახევარზედ მშიერთ

მთელი სწავლის ხანაში, თვითონ სწავლაზედაც ნაკლები დრო რჩებათ, რადგან ლუკმის საშოვნელად უხდებათ პატარაობიდანვე შეგირდების აყვანა. არ აცვიათ ტანთა და ფეხთა და ამით გულს აწყლულებენ მაყურებლისას.

უნებლიეთ ეკითხები შენს თავს: რაში ეჭირვებათ კლასიკური სწავლა, რომელსაც თან ახლავს 10—12 წლის განმავლობაში შიმშილი, როცა 2—5 წლის განმავლობაში შეეძლოთ შეეძინათ ისეთი პრაქტიკული ცოდნა, რომელიც არამთუ არ დაამახინჯებდა მათ, არამედ ლუკმასაც აშოვნინებდა და ეროვნულ ცხოვრებაშიაც სასარგებლო წევრად იქნებოდა. ჩვენ გვაქვს მრავალი ცნობა იმის შესახებ, თუ რა აუტანელ მდგომარეობაში იზრდებოდნენ და ეხლაც იმყოფება უმეტესი ნაწილი სათ.-აზნაურო გიმნაზიის შეგირდებისა.

დროა მოვიდეთ გონსა, დროა თავი დავანებოთ ასეთ უსამართლო ტანჯვას მოზარდი თაობისას და შევიგნოთ საჭიროება ჯანსაღი თაობის აღზრდისა, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად. დროა გამოვიკვლიოთ და შევქმნათ ისეთი ტიპის სკოლები, რომელნიც უფრო საჭიროა **ჩვენთვის**, ჩვენი კეთილდღეობის აღსადგენად, ჩვენი ცხოვრების გამოსაცოცხლებლად და ამის და მიხედვით ვხარჯოთ საზოგადო ფული.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენში ისედაც არის ბევრი საშუალო სასწავლებელი, საცა კლასიკური სწავლის მიღება შეუძლიათ მსურველთ, ჩვენ კი უნდა გავასწოროთ ის ძირითადი შეცდომა უწინდელ ხელმძღვანელთა, რომელიც ჰგლეჯდა ისედაც ღარიბ სოფელს ყოველ ინტელიგენტურ ძალას და აგდებდა ქალაქში. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ **სოფლელი სოფელს დაუბრუნდეს**, აღჭურვილი საკმაო ცოდნით და განვითარებით, რომ დაბეჩავებულ და განადგურებულ სამშობლოში შეიტანოს სასარგებლო პრაქტიკული ცოდნა, გააღონიეროს ხალხი, კულტურული მუშაობა გააჩაღოს.

მამებს ეგონათ, რომ აღზრდილნი შვილნი დაუბრუნდებიან სოფელს ან მატერიალურად მაინც დაეხმარებიან მეურნეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ, რადგან შვილები ან მიდიოდნენ რუსეთს, ან აქვე ქალაქში რჩებოდნენ, გატაცებულნი ქალაქის ცხოვრებით და სოფელს მარტო დასასვენებლად და იგონებდნენ ზაფხულობით.

ყველა ზემო ნათქვამიდან ვხედავთ, თუ რა სამწუხარო შედეგი მოჰყვა იმას, რომ ჩვენში ყველა მარტო კლასიკურ სწავლას იღებს და არა აქვს არავითარი სპეციალური ცოდნა.

ამათში, რასაკვირველია, სათავად-აზნაურო გიმნაზიის აღზრდილნიც იძულებულნი არიან ქალაქს მიეკედლონ, ბევრჯელ სახელმწიფო სამსახურშიც და გაურბიან სოფელს. ამით ისინი ვერ ემსახურებიან პირდაპირ მათს ეროვნულ დანიშნულებას, ეკონომიურ და სულიერ აღორძინებას ხალხისას და ამგვარად ვერ ამართლებენ იმ მატერიალურ მსხვერპლს, რომელიც მოაქვს საზოგადოებას მათ აღზრდისათვის. ყველა ის მიზანი, რომელსაც ემსახურება ქართული გიმნაზია, გარდა ენისა უფრო ადვილი მისაღწევია სახელმწიფო გიმნაზიების საშუალებით.

ამბობენ, რომ ქართული გიმნაზია ხელს უწყობს ენის შენარჩუნებასაო—ეს მართალია და ნამეტნავად მნიშვნელოვანიც იმდენად, რამდენადაც იქ აღზრდილნი რჩებიან საქართველოში, მაგრამ, საინტერესოა ვიცოდეთ, რა სარგებლობა აქვს ქართველ საზოგადოებას (რომელიც ყოველწლივ რამდენიმე ათას თუმანს ხარჯავს სკოლაზედ), რომ ქართველ მოხელეთ ან აფიცრებმა იცოდნენ კარგი ქართული... რუსეთის შიდა გუბერნიებში სამსახურის დროს. ან განა მარტო კლასიკურ გიმნაზიაში შეიძლება ენის დაცვა? ყოველი სკოლა, იქნება იგი სასოფლო-სამეურნეო, სახელოსნო, თუ სხვა რამ, თუ კი წესიერად მოეწყობა, უექველად გარანტიას მოგვცემს ენის შენარჩუნებისა და საზოგადოებაში გავრცელებისას. თუ ნამდვილად გვსურს ენისათვის ზრუნვა და მისი შენარჩუნება, მაშინ თვით საგნების **სწავლება უნდა მოვაწყოთ ქართულად** (რასაც ახალი კანონიც უწყობს ხელსა).

ამიტომ ენის მხრივ, არც ერთი სკოლა საფრთხეს არ წარმოადგენს. როგორიც უნდა იყვეს, იგი ყოველთვის ენის დამცველი იქნება.

მაშ როგორი ტიპის სკოლებია საჭირო ჩვენთვის თუ საკითხს ეროვნულ ეკონომიკის თვალსაზრისით შევხედავთ?

1) დაბალი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები სოფლებსა და ქალაქებში (უმაღლესი სკოლა ამ ტიპისა იქნება პოლიტეხნიკუმი).

2) დაბალი და საშუალო სახელოსნო და ტეხნიკური სკოლები.

3) კლასიკური გიმნაზია, ნაკლები მაშტაბით და ქართული სწავლებით.

4) სამასწავლებლო ინსტიტუტი ამ სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად.

რასაკვირველია, ყველა ეს უნდა განხორციელდეს ნელ-ნელა და წინადვე გარკვეულ პროგრამის მიხედვით. სწავლება ყველა ახალ სკოლაში უნდა იყოს, რაც შეიძლება მცირე ფასიანი და ყოველგვარი საშუალებით უნდა ვიზიდავდეთ შიგ ახალგაზრდობას. შესაძლებელია, პირველ ხანებში ახალგაზრდობა არც კი მიდიოდეს ამ სკოლებში ხალისიანად, რადგან მამებისაგან უკვე დაავადებულია კლასიციზმით და სამეურნეო, ან სხვა სპეციალურ სწავლას თითქმის ზიზღით უყურებს, როგორც დაბალი ხარისხისას. მაგრამ ეს მალე მოგვარდება, რადგან ეხლაც არიან აქა-იქ გაბნეული ინტელიგენტი სოფლის მეურნენი, რომელნიც თავისი მაგალითით იზიდავენ გლეხკაცობას კულტურულ მეურნეობისაკენ.

ხარჯი, გაწეული საზოგადოებისაგან ასეთ სკოლაზედ —დასანანი კი არ იქნება, არამედ სასარგებლოც, რადგან იგი ისევე საქართველოში დარჩება და დაუბრუნდება მცოდნე პირების სახით და არა გაიფანტება ჩინოვნიკებზედ, რომელნიც გადიხვეწებიან ხოლმე რუსეთში.

რაც შეეხება სათავად-აზნაურო გიმნაზიას, მისი ისტორია ასეთია: იგი ფართოვდებოდა და ბოლოს სრულ გიმნაზიადაც გადაიქცა, მაგრამ მისი ხელმძღვანელნი ამაზედაც არ ჩერდებიან და ყოველწლივ უმატებენ და უმატებენ ახალ პარალელურ კლასებს, რაც უფრო და უფრო დიდ ხარჯებს იწვევს, რასაკვირველია.

ჩვენის აზრით, ასეთს ანორმალურ მოვლენას უნდა საზღვარი დაედოს, რადგან ქართულ ცხოვრებას სხვა აუცილებელი საჭიროებანიც ახვევია ვალად და სხვა გვარი სკოლებიც სჭირია კიდევ.

თავად აზნაურობა მოვალეა, გაუწიოს ანგარიში სხვა უფრო თანამედროვულ მოთხოვნილებათ ჩვენი ერისას, დაუნიშნოს **გარდაწყვეტილი** სუფსიდია ქართულ გიმნაზიას და ნება მისცეს თავად გამოძებნოს ზედმეტი თანხები, თუნდა, მაკალითად, სწავლის ფასის მომატებით, რაც თავისი მხრით შეასუსტებს კლასიკურ სწავლის წყურვილის და გზას გაუხსნი სპრაქტიკულ ცოდნას.

შეიძლება სკოლამ კიდევაც შეამციროს თანდათან პარალელური კლასები, რადგან არ შეიძლება ერს ჰქონდეს მშვენიერი გიმნაზია, ფართო, დიდი და ლამაზი და ამასთანავე არც ერთი პრაქტიკული ცოდნის სასწავლებელი, არც ერთი იმისთანა, რომელიც ეგუებოდეს მის ნამდვილ ცხოვრებას, მისი ხალხის უმეტესობის უმთავრესს საცხოვრებელს - მეურნეობას.

თვით ის უზარ-მაზარი შენობა, რომელიც დღეს ნახევარზედ ან ცარიელია, ან სხვებს უქირავთ, შეიძლება განაწილდეს სხვა და სხვა ტიპის სკოლებისათვის და სრულად გამოსადეგარი გახდეს მომავალში მაინც.

ლ. დ.

შ ო რ ი დ ა ნ

III

სამაგალითო საზოგადოება

ამ რამდენისამე წლის წინად თითქმის ერთსა და იმავე დროს დაარსდნენ თბილისში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებანი.

ქართველი საზოგადოება ორივეს დიდის თანაგრძობით მიეგება, როგორც მეტად საჭირო და სასარგებლო დაწესებულებათ, და ბევრ იმედს ამყარებდა მათზე.

პირველმა სავსებით გაამართლა ეს იმედები და თამამად შეგვიძლია ვსთქვათ რომ ამიერიდან ქართულ ისტორიის და ეთნოგრაფიის საქმე; როგორც მეცნიერულ კვლევა ძიების მხრივ, ისე პრაქტიკულად, შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს. ამის სრული თავმდებია საზოგადოების 1911 და 1912 წლების ანგარიში, რომელიც ახლა ხან ცალკე ბროშიურად გამოვიდა და დაურიგდა წევრებს. 1912 წლის ანგარიში მოთავსებულია „კლდის“ №№ 22 და 23-ში.

ათვალიერებთ ამ ანგარიშს და თქვენს განცვიფრებას საზღვარი არა აქვს: საზოგადოების ქონება, განსაკუთრებით მუზეუმი და წიგნთსაცავი პირდაპირ საზღაპროდ იზრდება; საზოგადოების მოქმედება აგრეთვე თვალსაჩინოდ ვითარდება ყოველ წლივ.

სამწუხაროდ, ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოებამ არამც თუ მხარი ვერ დაუმშვენა ამ მხრივ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, არამედ ამ ბოლო დროს რომ კრებულ „გრდემლის“ ორი ტომი არ გამოეცა, პირდაპირ

დაარსებისათანავე მოსპობილად უნდა ჩაგვეთვალა...

არ ვიცი სხვები რითი ხსნიან ამ გარემოებას და მე კი მხოლოდ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელთა საქმის სიყვარულითა და ენერგიით და სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების უპატრონობით შემიძლია ავხსნა.

დიახ, უკანასკნელისთვისაც ბედს რომ გაეღიმა და ბ.ბ. ექვთ. თაყაიშვილისა, ალ. სარაჯიშვილისა და სხვა მათ ამხანაგთა მზგავსი ძიძა-მორდუ-ები გაეჩინა, დარწმუნებული ვარ, ისიც უფრო მეტ სიცოცხლეს გამოიჩენდა და ჩვენ დაბეჩავებულ სიტყვა-კაზმულ მწერლობას ბევრ სარგებლობას მოუტანდა!..

მახსოვს, წავიკითხე თუ არა გაზეთებში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წესდების დამტკიცებისა და მოქმედების დაწყების ამბავი, მაშინვე მომივიდა, როგორც თვით წესდება, ისე ცნობაც, რომ საზოგადო კრებამ წევრად აგირჩიათო. რასაკვირველია, მადლობა მოვახსენე გამგეობას და საწევრო ფულიც გავუგზავნე. გავიდა ცოტა ხანი, საზოგადოების ძვირფასი გამოცემა მივიღე. მეორე წელიწადი რომ თავდებოდა, ვხედავ, მომდის უწყება, სამ მანეთ და ერთ აბაზიან ფას დარ-ქმეულ წერილის მიღების შესახებ. მივხვდი, რომ ერთხელვე ნაკისრ მოვალეობის ასრულების მოგონება იყო და დაუყოვნებლივ გამოვისყიდე მოსული წერილი, რომელიც საზოგადოების ხაზინადრისაგან ხელმოწერილი საწევრო ფულის მიღების ბარათი აღმოჩნდა. მას აქეთ ყოველთვის თავ თავის დროზე ვიღებ, როგორც საზოგადოების გამოცემათ, ისე დასახელებულ ბარათებს და ვიხდი საწევრო ფულს...

სხვა რომ არა ვთქვათრა, ხომ ხედავთ, რა უბრალო საშუალებისთვის მიუგნიათ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეთ წევრთა მოსაპოებლად, მათ თანაგრძნობის დამსახურებლად და საწევრო ფულისაც თავ-თავისს დროზე მისაღებად!

ახლა გადავიდეთ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამგეობის მოქმედებაზე ამ მხრივ! მგონია რომ ამ საზოგადოებასთან უფრო ახლოს უნდა ვყოფილიყავი, როგორც დიდი ხნის სიტყვა-კაზმულ მწერლობის მოყვარული, ვინემ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, მაგრამ არამც თუ წინდაწინვე არა უცნობებიათ რა, იმ წერილის პასუხიც არ მომსვლია, რომელიც თვითონ მოვიწერე, და დღესაც არ ვიცი, ვირიცხები საზოგადოების წევრად, თუ არა?..

რაღა ბევრი გავაგრძელო? საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელთა მოქმედება პირდაპირ სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს, როგორც სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების, ისე სხვა ყველა ჩვენ საზოგადოებათა გამგეთათვის.

მაშ, ულრმესი მადლობა მოვახსენოთ პირველთ და ვისურვოთ, რომ მათებრი პატრონ-მზრუნველი სხვა ჩვენ საზოგადოებათ და მათ შორის სიტყვა-კაზმულ მწერლობასაც გამოსჩენოდეს! თუ ხალხის ბრძნული თქმულებით უპატრონო ეკლესიასაც-კი ეშმაკები დაეპატრონებიან, რა გასაკვირველია, რომ უპატრონო საზოგადოება—მიზანს ვერ აღწევდეს, საიმისო სარგებლობა ვერ მოჰქონდეს?..

დუტუ მეგრელი.

გ ე მ ი

სსსს... ქარი ჰქრის. ტყე ტოტებს იქნევს, მწვანით შემოსილს და მოკაზმულსა,
ზღვა ნაპირისკენ მოგორავს, იწევს, ზღვა ეომება თვისსავე სულსა...
ვისი გემია, ზედ რომ მისცურავს, გემი მწირი და თავ-განწირული?
ვისი გემია, ზღვა რომ ვერ ჰბურავს, ვისი გემია იგი გმირული?..
სულაც არ უკრთის ზღვის ბობოქრებას, სულაც არ უკრთის მეზღვაურთ წერას—
ოღონდ განშორდეს ძველსა ცხოვრებას, ოღონდ განშორდეს ძველ ქვეყნის კერას...
ზღვა კვლავ მრისხანებს... ტალღათ ჩრდილები უცნობ სივრცეში უვლიან ბუქნას
და მიჰქრის გემი, რომ ტკივილები სხვა მხარეს ანდოს, სხვა მხარეს უთხრას!

ი. მჭედლიშვილი.

ნ ა ტ ო

ა

სოფელ მადრანის მცხოვრებთ რომ გაიგეს დიმიტრი გაჭკირაძეს ლამაზი, ცამეტი წლის კეთილშობილი ქალი მოუყვანია ცოლათო, სასინდისად გაუგვირდათ და დიდი მითქმა-მოთქმა შეიქმნა. უსაქმო ხალხი და ცნობის მოყვარენი გაჭკირაძის კარშიდამას კარშემო შემოეხვივნენ და შექნეს ერთი დაუსრულებელი კიკინი. ზოგი ბაწია სარკმლიდკან იჭვრიტებოდა, ზოგი კარებიდგან და ცელქი ბიჭ-ბუჭები ბანზედაც — კი ავიდნენ და ბუხრიდგან ჩასტქეროდნენ. რა დარწმუნდნენ, რომ ამბავი მართალი გამოდგა და ნახეს ბატარძალი, მისი მოროვა-მოკაზმულობა, ნორჩი ყვავილივით ბავშვური სახე, მისი უმაწვილური მიხვრა-მოხვრა, — ყველას სიბრალული აეძრა მათი ცოლ-ქმრობა იმდენად შეუფერებელი იყო, რომ ბევრმა ხმა-მაღლივ ლანძღვა-გინებაც დაიწყო; მოუსვენარი ახალგაზრდები ათასნაირ მასხარულ შენიშვნებს უკეთებდნენ შეფეს. ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა ქვითინიც კი მოროო და სთქვა — „მაინც დედაკაცის ბედი დაწეეულიყოთ“..

გაჭკირაძე საშუალო ტანის კაცი იყო, რომელსაც მრგვალი, მსხვილი მუცელი უშნოდ გამოჭბეროდა; სახით შავს, თვალით ელამს, ბატარა, ვიწრო შუბლი და ისიც შებალხული ჰქონდა, რომელიც მაინც ვერა ჰფარავდა დიდ ჭრილობასავით შუბლზედ გადაჭდეულ ორ დარსა; დიდი ყურები წინ წამოშვებული. ცხვირი ბრტყელი, ჩაწითლებულ-ჩამაგებული, ტუჩები მსხვილი, გადმობრუნებული, საიდგანაც ჩაუანგებული კბილები გამოსჩანდნენ. ამასთანავე ქოსა და მელოტი იყო, ხოლო მარცხენა მხარეზედ ობლებსავით გამოიყურებოდნენ რამდენიმე დორის ჯაგარსავით მოამხო ბეწვები. დიმიტრი გაჭკირაძის ტანთმოსილობას შეადგენდა ყელიანი უქესლო წადები, მოკლე ჩითის ახალუხი, გრძელი ჩოხა, ებრალო ბალთებით მოჭედილი, ოსმის ქამარი და მიხაკის ფერი გახუნებული გარიბალდის ქუდი, რომელსაც ზამთარ ზაფხულ სახლშიაც არ იშორებდა თავიდგან. მისი ქონება ერთი დღიური ვენახის, ისიც ბირველი ცოლის ნამზითვარი და დედ-ნახეგრის სახნავ-სათესი მიწა იყო. ერთი ძველებური დარბაზი, რომელშიაც ოდესღაც ოვითონაც და მისი ხარ-კამეჩიც ერთად თავსდებოდნენ. ხოლო ეხლა კი შეატეობდით, წინანდელთან შედარებით დიდი დარბაზი ცოტა მოლაზათებულიყო გაჭკირაძის ერთად ერთი ქალის, კეკეს მეცადინეობით. გრძელი ოღრო-ჩოღრო ტახტი, ჭილობ-თვრდაგით მოფენილი, რამდენიმე მუთაქა აქა-იქ, დახვდეული სკივრი, კედობანი და მრავალი ხარა-ხურა ნივთები ეი ამით მოკრძალებულად მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება.

თვით გაჭკირაძე სიტყვიერად დიდი, კაქნილი და ტრაბახა კახლდათ. მისი მახვილი კვეხნა-ტრაბახი კარგა შორს იყო გავარდნილი. ზოგნი, როდესაც დაინახავდნენ გაჭკირაძეს გავლილს კარგ შენობის ახლოს, ან და კარგად მოგლილ ყანახთან, უეცრულად იტეოდნენ მის გასაგონად: „ეს შენობა და ეს მამული დიმიტრი გაჭკირაძეს ეკუთვნისო“. გაჭკირაძე ამის გაგონებაზედ ქუდს გვერდზედ მოიქცევდა, ორ დერიან ულვაშის კრეხას მოჭეეებოდა და თან სიამოვნებით ჩაიღიმებდა. აი, ამ ვაჟბატონმა მოიყვანა მეორე ცოლად ცამეტი წლის უმანკო, მშვენიერი ნატო, რომელსაც დაახეედრა სახლში თხუთმეტი წლის ქალიშვილი კეკე. ნატო ეკუთვნოდა ოდესმე გვარიან, მემამულე და შეძლებულს, დღეს კი ცხოვრებით დაეძლურებულ აზნაურ დავით დაუდეგრაძის ოჯახს. სხვა ვაჟიშვილთა შორის, ნატოს ბირველი ადგი ეჭირა. დედ-მამა მარტო ნატოს ეგლებოდნენ თავსა. ნატო იყო მათი თვიერიც და დარდიც, მწუხარებაც და სიამოვნებაც. ნატო რომ ნაწეენი ეოფილიყო ვისგანმე, ან რაზედმე დაფიქრებული. მშობლებს ჩოჩქოლი შეუდგებოდათ და სწუხდნენ, ჩვენ ხომ არა ვართ მიზეზი და დაეწეებდნენ ალერსით მიეგერებას. მშობლები არ აკლებდნენ აგრეთვე სუფთად ჩაცმა-დახეურვას, რაც უფრო ამშვენებდა მის ლამაზ სახეს. მაეგალითეთ მოეეეენე თვალებს, ბატარა წითელ ტუჩებს, მაგი თმის წეედიად კულულებს, რომელნიც თეთრ გაშლილ შუბლზედ მაშხაბვლელად ირხეოდნენ. მისი მოხდენილი ნაზი ტიკტიკი, სიცილ-ხარხარი ალაფრთოვანებდა ყველა, დარდით სავსე მომაკვდავთ. ნატოს სილამაზეს ბევრი მისი ტოლი ქალი შენატროდა და ეს ბუნებით კეკლუცი, ნარნარი ქნილობა დღეს დიმიტრი გაჭკირაძემ კანონიერ ცოლად გაიხადა.

ხალხმა ისიც მალე გაიგო, რომ ნატოს მოეკვანა და მისი მშობლების დაბრმავება მარტო გაჭკირაძის საქმე არ იყო; რომ ამ ქორწინების მოხდენა ერთი დახელოვნებული მაჭანკლის, ესტატე ტუაგიშვილის ოსტატობა გახლდათ. თავისი გაქნილი ქცევით ბევრი ახალგაზრდა ქალი და ვაჟი გაუუბედურებია, ამ მაჭანკალს უხვად აჯილდოვებდნენ და გასაკვირველი არ არის, რომ თუმცა ტუაგიშვილს ქკეანაზე არავითარი საკუთრება არა გააჩნია რა, მაინც იმისთანა ლაზათით ჩაცმულ-დახეურული დაიარებოდა, რომ თავადიშვილებში ვერ გამოარჩევდით. მის მსხვერპლთა სიაში ნატოც მოჰყვა. ესტატე ტუაგიშვილმა რომ აუწერა თავისი მოხერხებული ენით ნატოს მშობლებს გაჭკირაძის ვითარება, აუარებელი სიმ-

დიდრე, ორ სართულიანი სახლი და სხვა, დაუმატა: „მართალია, ყველა ამასთან ნაკლიც არის, მაგალითად სილამაზით ვერ გიქებთ, ხნიერი და ნაქვრივალი გახლავთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი მშვენიერი ქალი ინცნობს მის მყუდრო ცხოვრების და ჭკუა-გონების ხელში ჩაგდებას, ხოლო მე მაინც თქვენთვის მემეტება, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს შორის ცოტა ნათესაობაც კი არის. მე უფრო თქვენთვის მემტკივა გული, წვრილ-შვილის პატრონი ხართ, შეუძლოთი, და დიმიტრი გაჭკირაძე ყველას პატრონობას გაგიწევთ.“

ტუავიშვილის მოქარგულმა ენამ გაჭკირაძის სიმდიდრის შესახებ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ნატოს მშობლებზედ, რომ იგინი მეტის სიხარულით ატირდნენ. როგორც დადატაკებულნი ქონებრივად და დაბეჩავებულნი, მზად იყვნენ მიეთხოვებინათ თავიანთი ნატო თუნდ ორთავ თვალებით ბრმისათვის. მათ ხელი-ხელს მისცეს და პირველ დროით ერთი ხუთიანიც ჩაუდეს ხელში დიდის მოწიწებით მას გას მრჯელო და აღუთქვეს შემდეგისთვის კარგი ჯილდო. გადასწყვიტეს, ნიშნობა და ქორწილი ერთ დღეს მოეხდინათ. ტუავიშვილმა დაუნიშნა დღე, როცა იგი სასიძოს მოიყვანდა, თავიანთ მხრივ ნატოს მშობლებიც შეჰპირდნენ მომზადებას. მაჭანკალმა უსურვა ნატოს მშობლებს ამ საქმეში გამარჯვება, გამოემშვიდობა და ულვაშების გრეხით გაუდგა თავის გზასა.

ბ

სოფლის ეკლესია ხალხით იყო გაჭედილი, ჭაღარა, გრძელ-წვერა მოძღვარი, დინჯად, ბუტბუტით ასრულებდა ჯვრის-წერის წეს-რიგს. მორთულ-მოკაზმული ნატო კი უფრო დამშვენებული გვირგვინით, რომლის ტოტები ალერსიანად დასცურავდნენ მის მღელვარე ფართო გულ-მკერდზედ, გამოურკვეველ ოცნებით იყო გატაცებული. ელანდებოდა მაღალი, ორ სართულიანი სახლი, ავეჯებით მოწყობილი, კარგი სმა-ჭამა, კამფეტები, სათამაშოები, ტოლ-ამხანაგები და აივანზე ხტუნვა-სიცილ-კისკისი. ნატოს ერთხელაც არ გახსენებია გვერდზედ მდგომი საშიში მახინჯი კაცი, რომ ამ მოხუცთან ექნებოდა სამუდამო ბინა და არა რაღაც სათამაშოებთან. ნატო მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც იგინი ეკლესიიდგან გამოიყვანეს, მშობლებმა გადაჰკოცნეს, გზა დაულოცეს და მეფე-პატარძალი ეტლში ჩასხეს, ნატომ შეჰწივლა „ვაიმე დედავო“, ხოლო მოხერხებული გაჭკირაძის დაყვავებით და კამფეტებით ნატო ცოტა გაერთო და გული გადაყარა.

გ

ნატო რომ მოიყვანეს ბოლისაგან გაჭვარტლულ, გამურებულ ოთახში, რომლის შეულესავი, აქა-იქ გამოდრუტნული კედლები პირდადებულ მტაცებელ ცხოველებივით გამოიყურებოდნენ, შეძრწუნდა, შეშინდა, მაგრამ გული დაიმშვიდა იმ აზრით, რომ ალბად [illegible] გამოვლარეთ დასასვენებლად და სახლზე ისე[illegible] ადებეჭდა. ნატოს სრულებით ვერ წარმოედგინა თუ ეს, სევდის მომგვრელი ქოხი დიმიტრის სახლი იყო. გული კი მაინც რაღაც მოუსვენრად უცემდა და ბეჯითად დაუწყო თვალიერება სახლის მოწყობილებას, სახლს, ხალხს: ვინ რას იტყოდა, რას დაინახავდა. ბავშვი თან და თან ეჭვში შევიდა და მოსულ მაცქერალთა ლაპარაკიდგან ბოლოს მიხვდა რომ ეს იყო მისი სამუდამო ბინა და არა გზაზე შეხვედრილი ქოხი. გაგება იმისა რომ ის მოატყუეს, ურცხვად უსვინდისოდ მოაშორეს მშობლებს, ძმებს, ყოველგვარ ბავშვურ გართობა-სიამოვნებას მწარედ მოხვდა გულზედ. ნატო გულ-ამოსკვნით ატირდა; დამაზ, ქორფა ვარდსავით გაღვივებულ ლოყებზე ცრემლი მარგალიტსავით გადმოსჩქეფდა. მის მნახველთ ყველას გული აუჩვილდა, ყველა სიბრალულით იტანჯებოდა. ვერავისმა ალერსმა, თანაგრძნობამ, დაპირებამ, მოტკბილებული ქალი ვერ შეაჩერა. თვით გულ-ქვა გაჭკირაძეს და ტუავიშვილსაც კი სინანულის ცრემლმა გადმოსწვდოთ; საშიშო იყო, ბავშვს არა დამართოდა რა. დიმიტრის ქალი, რომელიც გულხელ დაკრეფილი კუთხეში ატუზულიყო და იმდუღრებოდა, უცებ გაშალა ხელები, გამოქანდა და გულში ჩაიკრა პატარა დედინაცვალი. ხალხში შეუკავებელი ქვითინი გაისმა. გერი მხურვალედ ჰკოცნიდა, ეალერსებოდა, უყვავებდა, ანუგეშებდა. ნატომ შესწყვიტა ტირილი, ბავშვმა ბავშვის მიერებაზე გაიცინა და ჰკითხა სადაურობა. კეკემ აუხსნა, რომ ის ამ მხარის შვილი იყო და აქ, ნატოსთან ერთად იქნებოდა. ნატო ცოტა გამოცოცხლდა და ახლა თითონ გადაეხვია კეკეს და დაუწყო გამოკითხვა ჩურჩულით.

— მაშ, ჩიტო, შენ ჩემთან იქნები? ჰო, რა კარგია, რა მიხარია, რახან ჩემთან იქნები სულ დღეც-დამეც; იცი, მომატყუეს სასიკვდილებმა, გასაწყვეტებმა. მე შენ არას დაგიმალავ, ყველაფერს გეტყვი, დედა არ მომიკვდეს ასეთი რამეები მითხრეს, რო... ის კაცი — ხელი მიიშვირა ტუავიშვილზედ, ჩვენთან უნდა იყვეს ხოლმე, აა?

— არა, ის ფინთი კაცია, ჩვენთან რა უნდა, სახლში როგორ დავაყენებთ.

— ისა? ანიშნა დიმიტრიზე.

— ის ჩემი მამა არის, გენაცვა — დაღონებით მიუგო კეკემ, იმან უნდა გვაცხოვროს ორივენი. ნატომ ამოიოხრა და ნაღვლიანად მიაჩერდა ქმარსა.

დ

გერს და დედინაცვალს თავდავიწყებით შეუყვარდათ ერთმანეთი, დებსავით ერთნაირად იცვამ-იხურავდნენ,

ხელი-ხელ ჩაგიდებულნი ერთად დადიოდნენ. კეკე რომ მაძმს კარგად ეჭცეოდა, ნატო კეკეს წაბაძვით ხელ-ხელ ეხვეოდა დიმიტრის: კეკე-კი თუ შინ არა ეოფილიყო, ნატო მარტო არა რჩებოდა ქმართან. მაინც ამ გვარ ცოდ-ქმრულ შეუფერებელ ცხოვრებით ოთხი წლის განმავლობაში ორი ვაჟიშვილი შეეძინათ; ხოლო მეხუთე წლის თავზე დიმიტრის წყალობანი გაუწნდა და მოაშორა ქორეა ცოდ-შვილს. ექვსი თვის შემდეგ მაძის სიკვდილისა, კეკეც მიიცვალა. რომლის მიზეზად მაძის მოვლას ასაბუბებდნენ. ქმარზე და გერზე წინ ნატოს დედამაძ დაუხოცა. ამბობდნენ, ქალი რომ თავიანთ დაუდევრობით უბედურობაში ჩაგდეს და ქვეყნის სალანძღავ-დასაგმობი საქმე გაიხადეს, ამ შეცდომას ვედარ შეუძლეს და მწუხარებამ გადაიტანა თანაო.

ე

შეალამე იქნებოდა. ცეცხლის პირს, მოგიზგიზე მეგუზლების წინ იჯდა ახალგაზრდა მაგებით მოსილი ქალი და ნაშტერებით ჩასცქეროდა ცეცხლის ხმოვან ფეერჩულს, ეურს უგდებდა მის სიიდუმლოებრივ უცნაურს მოთხრობას. თითქოს მასში კითხულობს დაკარგულ ბედნიერებას და აწმეო უბედურებასა. ქალს შავბნელი ფიქრები ცოცხლად ადგრა, აუმაძრავდა, ფიქრი-ფიქრს მოსდევს, მოგონება-მოგონებას. ერთ ბუნდოვან არეულ სურათად წინ უდგება მთელი მისი არსება. ქალს ხან და ხან ოხვრა ამოსკდებოდა და ტრუმლად იღვრებოდა ცხელ ნადვერდალში, რომელიც ოხშივრად ქცეული ბოლთან ერთად მოსრიალებდა ძველებურ ბანის კვირკვინში. ტახტზე საბანში წახვეულს ორ პატარა ერმას ეძინა ტკბილად, რომელთა კეკრიელი, ნელი ფშვინვა უერთდებოდა ბანიდგან ჩამომქრალავ სიცოცხლეს. ერმათ არ აწუხებდათ ახალგაზრდა დედის დარდი-ნადვილი. იკითი უზრუნველად დასრიალებდნენ ბავშვურ ჭაერობენ წალკოტში, მათი პაწია ტუჩები ხამუშ-ხამუშ გაიხსნებოდნენ ღიმილით და ისევ შეერთდებოდნენ. შავებით მოსილი ქალი წამოდგებოდა, ერმა მოხუცსავით წელში მოხრილი მივიდოდა შვილებთან, ფრთხილად გაუსწორებდა საბანს, დაცქერდებოდა რამდენიმე წუთს და, ისევ კერასთან მიმჯდარი, წავიდოდა ერმა ფიქრებში. ეს სუდიანი დაბე ბირველი არ იყო მისთვის, მაგრამ ამადამ უფრო ცხოველად შეიბერეს ფიქრებმა. მას ბირველად მკაფიოდ გამოექანდაკა თორმეტ-ცამეტი წლის ცელქი, ცქრიალა, სიცოცხლით სავსე შავ-დახუნძლული თმიანი ნატო. ამ სურათმა ქალს სული ადუღრეოვანა, ნეტარების ტკბილმა ღიმილმა მიმქრალი სახე გაუცოცხლა, მაგრამ სწრაფმა მოგონების ნადგურმა დაბრდილა ისევ წუთის თავდავიწყებითი სიამოვნება. ნატო მხოლოდ ოდესმე იყო ბედნიერი, ნებიერი. ნატო მხოლოდ ოდესმე მეუოვნოდა იმ ულარდელ, გადადებულ ქალთა გრებულს, რომელთაც არ იცოდნენ თვით ეაწია ბავშვური დარდიც-კი რომელთაც ბავშვურ ეთხოვნილებით გული და თვალი სრული ... ვერ შენატრიან ბედნიერებას, ამ მოგონებამ ... ხამ. ნადგული გადაერთხა ნატოს სიცოცხლეს და ხმა მადლა აქვითინდა: სადამდის მიგადწიე, სად დავიმზდგალიე, არც ერთი გულ-დმობიერი, დვთის ადამიანი არ მოიბოვება. მაგრამ, დმერთო ჩემო, ან სადაა, ვინაა ადამიანი? დედაკაცებს არ ვებრალები, მამაკაცები გასასუიდ საქონელსავით შემომტქნავიან, თვალით მზომავენ მწარნავენ, მოსვენებას არ მაძლევენ, მაგრამ გინა ჩემზე უარესებს ესეგვ დღე არ ადგებათ? მე კი ლამაზი ვარ, ახალგაზრდა, მე რად ადარ დამიწყებენ დევნას? დიდი სიფრთხილე მმართებს არ ჩამითრიონ, არ ამიოლიონ. დმერთო, გმადლობ, რომ ერთ ადამიანს მაინც ცოტად თუ ბევრად ვებრალები, თითო ორიოდა გროშს მაწვდის, რომ სული მოვიბრუნოთ, შიმშილით არ დავიხოცნეთ. დმერთმა აცოცხლოს დიდხანს ლეკანი, დიდხან სადად ამეოფოს ..

ეცრიე კარები შეიხურა; ქალი შეკრთა, ბირველი გადიწერა, გაიტეურნა. მაგრამ კარების შენძრევა ქარს მიაწერა და კვალად განაგრძო: ეხლა უპატრონობა, ქვრივობა, ... ბიდობა, სიდუხვარე, სხვის ხელში შემაცქერლობა, მოწყალების მოლოდინი, ეგელა ერთიანად დამატედა...

— დამაზო ქვრივო, კოხტა ნატო, მიგვიდე სტუმრები, დრო გაგვატარებინე, სიდარიბეს ადარ გაგრძობინებო, შემოესმა უცებ კარებიდან.

ქალი წამოდგა, მომაკვლავის ფერი დაეცა. შიშისა და შეურაცეოფისაგან ენა ჩაუვარდა, მუხლს მოეკვეთა... როგორც იყო მივიდა, ორთოლვით ხატის წინ დაეშვა და მხურვალე ლოცვით შეეკედრა. ლოცვით გამხნეებული წამოდგა, მივიდა შვილებთან დაიხარა, აკოცა.

კარს ისე დიხიგრად აუტეხეს რახუნი კარებიან, რომ ეს ეს არის შეინგრევა, მაგრამ ძველი მუხა და რკინის ურდული ჩაფარავდა ობლების...

დამის რაინდნი უშვერის, უმართებულო სიტყვებით ილანძღებოდნენ, ჩეეირობდნენ, რამაც ბავშვები გაალვიძა და ტირილ-წივილი შეუდგათ; ძალი გაშმაგებული ჩეეფდა, აწუდებოდა აქეთ-იქით; ქათმებმა ქანდარაზე მორთეს კაკანი... მთელი სახლი კვნესა-ვოდებად გადაიქცა. ქალი ხედავდა, ხსნა აღარ იყო, დინე მოიკრიფა, ცელს ხელი დაავლო, შვილებს გადახედა, ამოიგმინა, კარებთან მივიდა და შესძახა.

— ძმანო, გთხოვთ ორიოდე სიტყვა მათქმევინოთ

შემდეგ, დეე, როგორც განსაჯოს თქვენმა მამაკაცურმა სინიდისმა, ისე მოიქეცით.

იმათ ყინ მიარეულდთ, ტკბილად შემოსძახეს.

— სთქვი, სთქვი, ნება გაქვს, მშვენიერო ქვრივო. სთქვი რიმდენიც გინდოდეს, ეურს დაგიგდებთ, შემდეგ მაგ ბუნჩულა ხელებით კარსაც გაგვიღებ და გაგვიმასპინძლდები კიდეც, რისთვისაც კარგ ჯიდდოს მიიღებ ხი.

— ძმებო — ქალმა ხმა ამაღლა — იცით თქვენ, რომ დღეს მე უმწეო, უპატრონო ვარ, იცით რასაკვირველია, რომ უპატრონობასთან ერთად ღარიბიც ვარ, ამიტომ თქვენ გინდათ ისარგებლოთ? გესმით უსუსური ბავშვების ტირილი, რომელიც გამოიწვია თქვენმა მხეცურმა საქციელმა, ადამიანური დახმარების მაგიერ, ძალადობით გსურ დაიკმაყოფილოთ ურცხვი წადილი. მაგრამ ვერა, ვფიცავ დედაკაცურ ნამუსსა, ტოტხალს ვერ დამიმორჩილებთ, გიჯობთ კამეჩარდეთ.

ქალი შეჩერდა, გული უცემდა საშინლად, ება უცახცახებდა...

გარეთ ჩუმი ლაპარაკი შეუდგათ.

ან. კაპანაძისა

(შემდეგი იქნება).

გლეხთა კავშირები

ჩვენი წინა წერილებიდან მკითხველისთვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ გლეხთა სასოფლო ბანკების საერთო კავშირის მოწყობა მთელ ამიერ კავკასიისა შეუძლებელია იდეურად და პრაქტიკის მხრითაც. ამიტომ ეხლა ვეცდებით საკრედიტო კოოპერაციის კავშირს სხვა გზა მოუნახოთ.

„ბატონებო!“ იძახოდა მაღალ ტრიბუნიდან სრულიად რუსეთის საკრედიტო მოღვაწეთა კრებაზედ ცნობილი კოოპერატორი ბ. კილჩევსკი — თქვენ ყველას გინახავთ როგორ შენდება ყოველი სახლი. პირველ დღეებში მისთვის ჩაყრილი საფუძველი ძლივს მოსჩანს მიწის თხრილიდამ. მაგრამ დღითიდღე იგი იზრდება და დიდდება. დრო მოდის, როცა იგი ვეებერთელა და თვალუწვდენელ შენობად იქცევა და ამაყად, ათასი თვალით გასცქერის ყველა გამვლელ-გამომვლელს. ასე ეწყობა და შენდება დღევანდელი კოოპერატიული ორგანიზაციებიც: პირველ ხანებში, შეუმჩნეველი, პაწია, მაგრამ მკვიდრად მოწყობილი კოოპერატიული ორგანიზაცია, დღითი-დღე ძლიერდება და ფართოვდება. კოოპერატიული შენობა იწყობა ქვეყიდან ზევითამდის. და რაც უფრო მკვიდრად ირის შოწყობილი დასაწყისში პატარა ორგანიზაციები, უფრო დიდ კოოპერატიულ შენობის ~~ზედა~~ გასაფუძვლებაა უზრუნველ-ყოფილი მომავალში.“ ეს აზრი რუსეთის ცნობილ მოღვაწე-კოოპერატორისა სრულ სიმართლეთ უნდა ჩაითვალოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებისთვის და ამიტომ ჩვენ საკრედიტო ამხანაგობათა კავშირის მოწყობას ეს სამართლიანი აზრი საფუძვლად უნდა დაედოს. როგორც წინადაც ვამბობდით, პირველ ქართველ გლეხთა ეკონომიურ კავშირის სწორ მოწყობას დიდი და თვალსაჩინო მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიური ცხოვრების წინსვლაში. მართლაც, ქართულ სასოფლო ბანკების კავშირი, პირველი მერცხალია ქართველ გლეხთა მწყობრ გამოსვლისა ქართულ საზოგადო-ეკონომიურ ასპარეზზედ და თუ იგი მოეწყო, როგორც ამას მოითხოვს კოოპერატიული იდეა და პრაქტიკა და მასთან ერთად ქართული ეკონომიკაც — ამ კავშირს შეუძლიან არა მარტო დიდი სარგებლობის მოტანა თვით გლეხთა კრედიტის საქმისთვინ, არამედ იგი დაიჭერს უპირველეს ალაგს ქართულ ეკონომიურ ორგანიზაციათა შორის და ახლო მომავალში ქართულ ცხოვრებას, თავის სინათლიან შუქსაც მოჰფენს.

ჩვენშიაც სასოფლო ბანკების კავშირის მოწყობა ქვევიდან უნდა დაიწყოს, ე. იგი **ადგილობრივ სარაიონო კავშირები** დაარსდეს **და მერმე საერთო კავშირი ყველა ქართულ სასოფლო ბანკებისა.**

თუ საქართველოს რუქას გადაავლებთ თვალსა თქვენთვის ნათელი იქნება, რომ ჩვენი სამშობლოს სპეციფიური გეოგრაფიული პირობანი სწორედ ამ ნაირ საკრედიტო ორგანიზაციას მოითხოვენ. ამ გეოგრაფიულ პირობათა წყალობით, ჩვენ თვალწინ გადაშლილია მრავალფეროვანი ქვეყანა, მრავალ ფეროვან მეურნეობით, მრავალ ფეროვან ეკონომიურ ცხოვრებით და ამიტომაც მის მეურნეობის ავლადიდებას — პურს, სიმინდს, ღვინოს, ხილს, მატყლს, აბრეშუმს, თამბაქოს განსაკუთრებული გეოგრაფიულ-ეკონომიური რაიონებიცა აქვს.

პური — ქიზიყი და ზემო ქართლი; ღვინო — რიონის და ალაზნის ხეობა, სიმინდი — ყვირილას ხეობა, ხილი — ლიახვის ხეობა, თამბაქო — არტვინის და სოხუმის ოლქი და სხვა და სხვა. ამ ხსენებულ ეკონომიურ პირობებთან შეგუებული უნდა იყოს

სახალხო კრედიტის მოწყობაც. ადგილობრივ სასოფლო ბანკების კავშირი, პირველ ხანებში, გაუძლევება თავის ადგილობრივ მეურნეობას და ეკონომიურ ცხოვრებას, მერმე, როცა იგი გაძლიერდება, გააძლიერებს მოკავშირე ბანკებს და მასთან თანხებსაც მოიგროვებს, იგი ბუნებრივად შეუერთდება სხვა რაიონის კავშირს, ამრიგადვე მოწყობილს. ბოლოს ყველა სარაიონო კავშირები შეერთდებიან და საერთო კავშირსაც მოაწყობენ. მაგალითად დღეს შესაძლოა ჩვენს სამშობლოში 7—8 სარაიონო კავშირი დაარსდეს. დაახლოვებით შემდეგ რაიონებში: თითო-თითო—ქართლში, კახეთში და თიანეთში, ბორჩალო და თბილისის მაზრაში, შორაპნის მაზრაში, ქუთაისის მაზრაში, ზუგდიდის მაზრაში, ბათომის და ართვინის ოლქში, სოხუმის ოლქში, რომელთაც მერმის შეუძლიანთ თავი მოიყარონ ერთ კავშირში. უკანასკნელთ სათავეში ჩაუდგება და გაუძღვება მთელ საქართველოს სახალხო კრედიტის საქმეს.

შესაძლოა, ამ რვა კავშირისთვის, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, რაიონების დაყოფა ცოტა სხვანაირად მოხდეს ან და იქნება 8 კავშირიც არ დააკმაყოფილებს მასა,მაინც, გავიმეორებ, რომ დაახლოვებით ასე უნდა მოეწყვნენ ადგილობრივი კავშირები ჩვენი სასოფლო ბანკებისა საქართველოში. საბოლოო გამორკვევა კი იმისა, თუ სად უნდა დაარსდნენ და როგორ, შესაძლებელია მარტო ქართულ სასოფლო ბანკების წარმომადგენელთა კრებაზედ, რომელიც ამ ჟამად ამისათვის უსათუოდ მოწვეულნი უნდა იყვნენ და რაც შეიძლება საჩქაროდ, რადგანაც უპატრონო საყდარს „ეშმაკები" დაეპატრონებიან და მაშინ გვიანღა იქნება. ქართულ ეკონომიურ ცხოვრების მჭედლები ჩვენვე უნდა ვიყვნეთ.

დ. ვაჩნაძე.

ქართული სტატისტიკა

ოდესღაც ჰენრიხ ჰეინემ მთელი გერმანია სხვა და სხვა პირუტყვთა ჯოგებად დაჰყო და ხმა-მაღლა სთქვა; რომ გერმანიაში ადამიანები არ არიანო.

— არიამ ლორები ნაკლებ მსუქანნი და არიან ლორები მეტად მსუქნებიო...

ჰეინეს თამამად შეეძლო ნოეს კიდობნის სხვა მოსახლენიც ეპოვნა საყვარელ სამშობლოს კიდეებზედ, მაგრამ ასეთი მცირედი სიმართლის სიტყვაც არ აპატიეს პოეტს და ექსორია უყვეს. გაიძევეს ძვირფას გერმანიიდან და იძულებული გახადეს, რეინის იქითა მხარიდან ეცქირნა საყვარელ ფატერლანდის ღორებისათვის.

მე არ მინდა, ჩემი სამშობლო მეც ასე მომექცეს, ამიტომ მე საქართველოს პირუტყვთა სხვა და სხვა ჯოგებად არა ვყოფ.

დავყოთ საქართველო ისეთ უდანაშაულო კატეგორიებად, როგორიც არიან

სოციალისტ-ფედრალისტები და

სოციალ-დემოკრატები

თუმცა ნოეს კიდობანი სწორედ ჩვენი იალბუზის გასწვრივ გაჩერდა არარატის მთაზედ, თუმცა შიგ არცა ყოფილა ამ ჯურის საქონელი, მაგრამ ნოეს რომ გადაუკრავს წითელი ნუნუა

ერთგვარი სოციალისტური Spiritus vini სცემია თავში და ჯადოსნურად მის გარშემოც გავრცელებულა:

Spiritu svini.

„ეს იმ დროს მოხდა" და მას აქეთია საქართველოში გაჩნდა „ორი უმთავრესი მიმართულება". იქნებ არ გჯერათ, მაგრამ ჩემ წინა დევს ქართული გაზეთის ნომერი, რომელშიაც მოთხრობილია, თუ რაგვარ კატეგორიებად იყოფა ერთი უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტობა.

ორმოცდა ათი სოციალისტ-ფედრალისტი.

ოცდა ოთხი— სოციალ-დემოკრატი

სამი—ანარქისტი

ოთხი —ნაციონალისტი

ერთი—ავტონომისტ-დემოკრატ-სოციალისტი

და ერთი სოციალისტ-რევოლუციონერი.

ამ სტატისტიკიდან, რასაკვირველია, თქვენ ვერ გაიგებთ იმას, თუ რამდენია მათში ჭკვიანი, ლამაზი, ჯანსაღი; რამდენია მათში მდიდარი, ღარიბი; რამდენი რამდენ წელსა სწავლობს, ან როდის აპირობს გათავებას; ვერ გაიგებთ იმასაც, თუ რამდენია მათში ჭკუათმყოფელი და მცოდნე, მაგრამ ეს ხომ არც საჭიროა!

ქართველი იმისთვის კი არ არის, რომ იცოდეს რამე.

ცხოვრებაშიაც ეგრეა.

როდესაც გეკითხებიან—ვინა ხარ? როდია მიღებული სთქვათ: ჭკუათმყოფელი პეტრე, ან სულელი პავლე უნდა სთქვათ მოკლედ:

პავლე... პეტრე... ონოფრე...

სტუდენტებიც ამოკლებენ:

—სოციალისტ-ფედერალისტი... და გათავდა!

ამასთან ჭკუათმყოფელია, თუ სულელი ვის ეკითხება, „როს მამულსა მეომარი მით ერთი ემატება“.

— სოციალ-დემოკრატი... და მორჩა!

ჭკუათმყოფელია, თუ სულელი—ვის ეკითხება! ნათქვამია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო და ისიც უერთდება.

და აი ამ სტატისტიკის საშუალებით კიევის საქართველოც ზემო-მოყვანილ ცხრილად გაყოფილა. იქაც, ცივ რუსეთშიაც გაჰყოლიათ სოციალისტური Spiritus vini:

„ამნაირად კიევის ახლანდელ ქართველ სტუდენტობაშიაც ორი უმთავრესი მიმართულებაა: სოციალისტ-ფედრალისტებისა და სოციალ-დემოკრატებისა“, დასძენს კორესპონდენტი.

ან ვისთვის რა საჭიროა ცოდნა იმისი მაგ., რომ მარტო 12 კაცმა იცის (?) ისტორია და დანარჩენები ანბანსაც კი იცნობენ.

ვისთვისაა გამოსადეგი გრძელ-ვადიანი შესწავლა რისამე, როცა ისე მოკლეა გზა სახელისკენ:

სოციალისტ-ფედერალისტი

სოციალ-დემოკრატი.

მოხვალ და შენც მოღვაწე ხარ, შენც დემოკრატი, სხვას არ მოგკითხვენ საქართველოში, თუნდაც ,,ანს'' ვერ არჩევდე ,,ბანისგან'', ,,შინს'' ,,განისაგან''.

პირადათ მე, როგორც ნაციონალისტი, დავსტირი კიევე̄ლ იმ ოთხ ნაციონალისტის ბედს, რომლებიც სათვალავიდან გამოურიცხავთ და „უმთავრეს მიმართულებათა“ რიცხვში არ მოუქცევიათ.

მაგრამ რაც შეეხება ორ „მთავარ მიმართულებას“, რომელთა შორის დამოკიდებულება იგივეა, რაც ორსა და ერთს შორის, მე ვსთვლი **შესანიშნავ მოვლენად**:

ოღესღაც სოციალ-დემოკრატები იმდენნი იყვნენ, რომ ს.-ფედერალისტები მათში ისე გრძნობდნენ თავს, როგორც ის ოთხი ნაციონალისტი სოციალისტ-ფედერალისტთა უმრავლესობაში.

და რაც უფრო ღირს-შესანიშნავია, სოციალ-დემოკრატების უმრავლესობა ოთხს მაშინაც ნაციონალისტებს უწოდებდა.

მაშ რაღა გამოცვლილა?

ოთხი არ გამრავლდა

და ამ ოთხს სახელი არ გამოეცვალა!

იმ ოთხ ნაციონალისტს მე უსურვებდი სრულიად აღგვას დედამიწის ზურგიდან, რადგან ეული დაბადებულან.

მაგრამ რაც შეეხება სხვა ნარჩენებს —უსურვებთ გამრავლებას, ბარტყობას და [illegible]

— რათა?

გთხოვთ ნუ მკითხავთ? ეს ჩემი სურვილი შეუგნებელია!

ისე შეუგნებელი, როგორც კიეველ სტუდენტების ს. ფ სტმა და ს. დ—კრატობა ყოფილა შეუგნებელი ,,ქ. რ—ის'' მოწყობით.

როგორც შეუგნებელია ყველა ქართული სტატისტიკა.

ზოგნი იმასაც კი ამბობენ, რომ გაზეთი ასე შეუგნებლად არ უნდა ,,აბეზღებდეს“ სტუდენტებს მთავრობასთანაო, მაგრამ ,,უქმი ლაყბობის'' უწყინართ რომ უწყინარნი გაამრავლონ, განა ეს დაბეზღებაა?

ნაცარა.

ეკონომიური ცხოვრება

საადგილ-მამულო კომისია. 40 კომლმა ხევსურმა მიმართა საადგილ-მამულო კომისიას თხოვნით, სადაც აღწერდნენ თავის გალატაკებულ და უმწეო ცხოვრების პირობებსა და ეხვეწებოდნენ—ბარში მამული გვიშოვნე და დასახლებაში მოგვეშველეო. სხვათა შორის ხევსურებმა განაცხადეს, რომ თუ ეს მათი საქმე მოეწყო, მაშინ სხვა ხევსურებიც მიჰბაძავენ უკანასკნელებსა და ყველანი ბარში ჩამოსახლდებიან. საადგილ-მამულო კომისიამ დაადგინა ყოველ მხრივი დახმარება აღმოუჩინოს ხევსურებს და მასთან ერთად დაავალა დ. ვაჩნაძეს და გ. მაჭარაშვილს გამოიკვლიონ ხევსურების დასახლებისთვის შესაფერი მიწები ქართლ კახეთში სათავად-აზნაურო ბანკზედ დარჩენილ მამულებში.

თუშეთ-კახეთის ახლად დაარსებულმა სამეურნეო ამხანაგობამ, რომელსაც მიზნადა აქვს სამეურნეო იარაღების სადგურების მოწყობა თელავში—სთხოვს კომისიას 5000 მანეთს დახმარებას იარაღების გამოსაწერად და ამხანაგების საქმის მოსაწყობად. საადგილ-მამულო კომისიამ მათი თხოვნა გაგზავნა ქართულ სამეურნეო საზოგადოებაში და სთხოვა ამ ამხანაგობის მიზნების დაწვრილებითი გამორკვევა და წესდების განხილვა.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკანასკნელ ოთხშაბათის სხდომაზედ დაადგინა 30 მარტამოზისთვეს მოაწყოს საუბრები სამეურნეო საკითხებზედ სოფ. საგარეჯოში და მასთან ერთად იქვე გამართოს დემონსტრაცია ახალი გუთნის „Brabant Doubl"-ისა რომელიც საზღვარ გარედ და რუსეთში (პოლონეთში) ძალიან გავრცელებული ყოფილა

საადგილ-მამულო კომისია და მისი მომავალი მუშაობა

ამას წინად ჩვენს ჟურნალში იყო მოყვანილი ცნობა, რომ საადგილ-მამულო კომისიას ძირითად რეორგანიზაციას უპირობენ. მისი პროექტი კიდეც შეიმუშავა ჩვენი მოღვაწეების განსაკუთრებულმა თათბირმა ⁄ წარუდგინა დეპუტატთა საკრებულოს. უმთავრეს მოტივს საადგილ-მამულო კომისიის სარეორგანიზაციო პროექტისა ის არის, რომ იგი გადაკეთდეს ჩვენთვის ძალზედ საჭირო საერობო-საკრედიტო დაწესებულებად ჩამოყალიბებულს წესდების ფორმებში და თავის მოქმედებაში ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი იყოს სადეპუტატო საკრებულოსაგან, რომელიც ამ ჟამად გახვეულია მრავალ საქმეებში და ვერ შესძლებს ამ ნაირ რთულ საქმის გაძღოლას. სარეორგანიზაციო პროექტი წარდგენილი იქნება ეხლა ივნისის ქართლ-კახეთის სათავად-აზნაურო კრებაზედ, განსახილველად ⁄ დასამტკიცებლად. თუ საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაცია მოხდება მაშინ განახლებული კომისია, როგორც გავიგეთ, აპირობს მომავალ წელს შემდეგ მუშაობის გეგმის განხორციელებას:

1. უმთავრეს თავის მიზნად, ახალი კომისია, როგორც აქამდის, ქართულ მიწა-წყლის მოვლა-პატრონობას ისახავს ქართლ-კახეთში (თბილისის გუბერნიაში) ამიტომ მომავალ მუშაობაში მისი უმთავრესი ყურადღება ამ მხარეზე იქნება მიქცეული. მომავალ წელიწადს იგი აპირობს მუშაობის გაჩაღებას იმ რაიონებში, სადაც ქართულ მიწის მობილიზაცია უფრო გაძლიერებულია სახიფათოდ. ამისთანა რაიონებად კომისია სთვლის **თბილისის მაზრას და ბორჩალოს.** ამ რაიონებში იგი აპირობს დაწვრილებით გამოკვლევას თავისუფალ და გასაყიდად მომზადებულ მიწებისას, რომელნიც გამოდგებიან ახალშენების დასასახლებლად. შეძლების დაგვარად შეუდგება განსაკუთრებულ ახალშენების ამხანაგობათა მოწყობას და მათ დასახლებას ხსენებულ რაიონებში. მასთან ერთად, სადაც დიდი მამულების ყიდვა ახალშენებს გაუძნელდებათ, იქ კომისია აპირობს მიწის მზომლის საშუალებით დაჰყოს იგი ნაჭრებად და ნაწილ-ნაწილად გაყიდოს; მასთან ერთად ეცდება სხვა და სხვა ბანკების საშუალებით მოუპოვოს ახალშენებს საჭირო თანხები და თუ გაჭირდება თვით კომისია გასცემს მათზე გრძელ ვადიან სესხებს.

სხვა რაიონებში ქართლ-კახეთისა, კომისია ყველა ქართველ მყიდველ-გამყიდველს გაუწევს შუამავლობას, ხელმძღვანელობას და მისცემს შესაფერ რჩევას. მხოლოდ თუ აქაც გამოჩნდნენ მსურველნი გადმოსახლებისა კომისია უკანასკნელებსაც მოუწყობს დასახლებას. სხვათა შორის ამ წელს კომისიას მიზნადა აქვს მოაწყოს ბარში დასახლება 40 კომლი ხევსურებისა და 15 გუდამაყრელ მთიულისა რომელიმე თავისუფალ და შესაფერ სათავად-აზნაურო ბანკის მამულზედ.

2. არა ნაკლებ ყურადღებას თავის მომავალ მოქმედებაში კომისია აქცევს **მელიორატიულ დახმარების აღმოჩენასაც** ჩვენი ქვეყნისთვის. მინდვრების მორწყვა, ჭაობების დაშრობა, მდინარეების ნაპირების გამაგრება, გზების გაყვანა—შეკეთება, ხიდების გაკეთება და სხვა ამგვარ მოთხოვნილებათა განხორციელებას კომისია დახმარებას უწევს. კომისიის ინჟინერი შეუდგება მომავალ წელსვე ხსენებულ საჭიროებათა გამოკვლევას, მასალების შეკრეფას, პატარა უფასო პროექტების და გეგმების შედგენას. ამისთვისაც კომისია შეეცდება მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებებიდან გამოიტანოს სამელიორაციო თანხები და ზოგჯერ საკუთარი თანხებიდან გაუწევს დახმარებას სამელიორაციო ამხანაგობათ სესხის სახით.

3. რადგანაც საქართველოს მომავალი ეკონომიური აღორძინება დამოკიდებულია ქართულ კოოპეციის განვითარებაზედ და მათ ორგანიზაციების მოწყობა-გამრავლებაზედ, კომისია სთვლის თავის აუცილებლივ საგნად **გაუწიოს მუდმივი დახმარება ქართულ კოოპერაციას:** საკრედიტო, მომხმარებელ, მწარმოებელ და სამეურნეო ნაწარმოების გამსაღებელ ამხანაგობათ. ეს დახმარება გამოიხატება მათთვის პატარა სესხების გაცემაში მეტადრე საქმის დასაწყისში, როცა კოოპერატიული ორგანიზაციები ეწყობიან და როდესაც ამ დახმარებას დიდი მნიშვნე-

ლობა ეძლევა. ამ სესხების გაცემას კომისია აპირობს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან შეთანხმებით.

4. კომისია მოაწყობს **სპეციალურ ბიუროს**, რომელიც ყველა მთხოვნელს მიაწვდის უფასოდ რჩევას საადგილ-მამულო—იურიდიულ და სატეხნიკო კითხვებზედ.

რ. გ.

რაში ეძლევა 100 თუმანი სიღნაღის საქალებო სასწავლებელს?

მკითხველს ეცოდინება რომ თბ. გუბ. თ.-აზ. ყოველ წელს, სხვათა შორის აძლევს 1000 მან. სიღნაღის საქალებო პროგიმნაზიას; ამიტომ მეტი არ იქნება, თუ ჩვენს საზოგადოებას გავაცნობთ, როგორ არის ამ სკოლაში ქართული ენის სწავლების საქმე დაყენებული.

ხსენებულ საქალებო სასწავლებელში სულ 4 კლასია და 2 განყოფილება; მოწაფეთა რიცხვი 145, აქედან 100-დის ქართველია. უმცროს მოსამზადებელ განყოფილებაში ქართული ენა სულ არ არსებობს, ალბად პედაგოგიურის მოსაზრებით ქართველებს რუსულად აწყებინებენ სწავლას. დანარჩენ I და II—ეს ერთად 2 გაკვეთილი აქვთ კვირაში, აგრეთვე შეერთებულია მე-III და IV—კლასები და ორი გაკვეთილი აქვთ კვირაში. ყველა ამ გაკვეთილებს უკანასკნელი საათები აქვს დათმობილი, ასწავლის მღვდელი—სამღვთო წერილის მასწავლებელი, დანარჩენი მასწავლებელნი, დაწყებული უფროს ქალ მასწავლებლიდან, ყველა არა ქართველია; ყოველ გვარი მეცადინეობაა, ბავშვები, რაც შეიძლება რუსულად აღზარდონ.

ამავე სიღნაღში არსებობს ექვს კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი, სადაც 300 მოსწავლეა, აქედან 200-დის ქართველია; ქართულს ყველა განყოფილებაში ასწავლიან. აქაც ორი განყოფილება ქართულის გაკვეთილზედ ერთად არის შეერთებული, მხოლოდ ქართულ ენას დათმობილი აქვს მე-3-ე მე 4-ე საათები. სახელმძღვანელოები შემდეგია: დედა-ენა, ბუნების კარი, ქართული მწერლები, ქართული ისტორია ქვარიანისა; ამას გარდა, მოსწავლეები სწერენ ქართულ ენაზედ საშინაო სამუშაოებს. მასწავლებლები, ორის გარდა, ყველა ქართველია. ამ სასწავლებელს თ.-აზ. საზოგადოება სუბსიდია არ ეძლევა; მიუხედავად ამისა, ქართულის სწავლება აქ ბევრად უკეთესად არის დაყენებული ვიდრე ქალების სუბსიდიან სკოლაში. ამიტომ უფრო უკეთესი და სამართლიანიც იქნება, რომ ის 1000 მან; რომელსაც თ.-აზ. იძლევა საქალებო სასწავლებლისთვის, მიეცეს განსაზღვრულის მიზნით, ესე იგი ქართულის მ.-სწავლებელს, რომელიც მოვალე იქნება ასწავლოს ქართული, როგორც საქალებოისე სამოქალაქო სასწავლებელში. ამ ფულით „ხეირიანი მასწავლებლის შოვნაც შეიძლება და მთლად დროს ამ საგანსაც მოანდომებს და არა ,,სხვათა შორის'' ასწავლის ქართულს, როგორც ეს დღესაა.

რიგიანი.

ნ ა რ ე ვ ი

ერთ ამერიკელ მილიარდერს აზრად მოსვლია განხორციელება დიდი მაშტაბით ფიზიკის იმ პრინციპისა, რომელიც ნებას აძლევს, მაგ.ველოსიპედისტს ერთი-მეორის უკან მდგარ, მარტო ორი თვალით სიარულისას. თვით მოძრაობა ჰქმნის იმ ახალს ძალას, რომელიც მოძრავ ველოსიპედს ზეზე იკავებს. ზემოაღნიშნულ ამერიკელს, მოუსურვებია ცალ-ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანა, რომელზედაც მატარებლები ველოსიპედები ივლიან; მაგრამ, რაკი ველოსიპედი-ვაგონი თუ არ მოძრაობს, წაიქცევა ხოლმე, განზრახულია ყოველ ვაგონში გაიმართოს ფოლადის უშველებელი ბზრიალა, რომელიც მატარებლის მოძრაობაზედ იქნება დამოკიდებული: რამდენსაც ნელა ივლის მატარებელი, იმდენად მოუჩქარებს ტრიალს ბზრიალა. ამ რიგად მოწესრიგებულ მატარებლების ცდა თურმე უკვე მოახდინეს.—ესეთი გზა ბევრად იაფი ჯდება და უფრო სწრაფადაც მოძრაობს.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.

სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866½ დესეტინა ვენახი, საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთოგაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოვადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

ელექტრო-მბეჭდავ სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.